

დალილა ბედიანიძე  
(საქართველო, თბილისი)

## ცხენი ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში არაერთგზის გვხვდებიან როგორც შინაური, ასევე გარეული ცხოველები, კერძოდ: ცხენი, ხარი, ძროხა, ცხვარი, მგელი, დათვი, ლომი, სპილო, მელა, კატა, თაგვი, ღორი, ძალლი და სხვა. მათ შორის ყველაზე ხშირად ცხენი იხსენიება. ცხენი ჯადოსნურ ზღაპრებში გვხვდება როგორც თავისი პირდაპირი, ისე მითოსური მნიშვნელობით (რაში). მკვლევარი ეკა ჩხეიძე აღნიშნავს: „საზოგადოდ, ცხენი მტკიცედაა დამკვიდრებული ევროპისა და აზის მითოლოგიაში. ის ცის, მიწის, ქვესკნელის და სხვადასხვა სტიქების მსახურია... ჩხეიძი მოდესლაც ცხენის კულტი უნდა არსებულიყო. ამას გვაფიქრებინებს საქართველოში დღემდე შემონახული ცხენის საგანგებო სიყვარული და პატივისცემა... ცხენის ღვთიურ ბუნებაზე მიუთითებს ისიც, რომ ის გულთმისანია. ბევრგან, ღვთაებისადმი მიძღვნილ შესახირავთა შორის, ყველაზე დიდ მსხვერპლად ცხენი ითვლებოდა“ (ჩხეიძე 2002: 32-33).

ზღაპარში „შავ-თეიმურაზი, მზე თეიმურაზი და მთვარე თეიმურაზი“ ცხენი ტოტემია, იგი ადამიანის მშობელიცაა და მისი მასაზრდოებელიც. „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმარი, რომლებსაც ერთი შავი ცხენის მეტი არა გააჩნდათ რა. ეს ცხენი იყო მათი საზრდო და იმედი. წავიდოდა დილით ცხენი ტყეში, დამაკდებოდა იქ, მოვიდოდა სალამოზე, მოიგებდა კვიცს, დაკლავდნენ ცოლ-ქმარი კვიცს და შეჭამდნენ. ასე გადიოდა დღეები და წლები. ბოლოს მოსწყინდათ კვიცის ჭამა და თქვეს: როცა ცხენი მოვა და მოიგებს კვიცს, თვით ცხენი დავკლათ, შევჭამოთ და მერე ისე ვიცხოვროთ, როგორც ღმერთი გვიჩვენებსო. ცხენი ფინიამ გადაარჩინა. წაიყვანა ცხენმა კვიცი შავ ტყეში და დაიწყო ძველებური ცხოვრება, ისევ იგებდა კვიცებს... როცა დიდი ჯოგი გაუხდა ცხენებისა, დედაცხენმა თქვა, ასეთი ყოფნაა რა ყოფნაა, სულ კვიცების შობა მომწყინდა, ღმერთო, როგორც გამაჩინე, ისე დამარჩინე და ერთი ადამიანის შვილიც ჩამისახე მუცელში, რომ ამ ცხენებს მოუაროსო“ (ხალხური სიბრძნე 1963: 87). ეყოლა ვაჟი. როცა დავაჟუაცდა, მოინდომა ქვეყნის გაცნობა, არ დაიშალა. ბოლოს დედამ უთხრა, აირჩიე რომელი კვიციც გინდა, შეჯექი და წადიო. ორ კვიცზე შეჯდა და ორივე კვიცი კვნესოდა, რა უსამართლობაა, უფროსი ძმა უმცროსს ზურგზე აჯდებაო. დედამ არ გაუმხილა შვილს, რას ნიშნავდა კვიცების სიტყვები და დაარიგა: სხვაზე შეჯექი და როცა დაიწყოს, ლაგამი ჩაჰქარ მაგრად პირში და ხმას აღარ გაიღებსო, თან უთხრა: „შენ ხარ შავ-თეიმურაზი, შავი ცხენის შვილი და ტყეში შობილი“ (ხალხური სიბრძნე 1963: 88). შავ-თეიმურაზი დიდი გმირი გამოვიდა, დევთმებრძოლი. მიუხედავად იმისა, რომ მისი წინაპარი შავი ცხენი იყო, მას ადამიანის სახე და ადამიანის სუნი ჰქონდა. დევის რაშმა ადამიანის სუნი იკრა და შეფრთხა. დევმა თავის რაშს შეუტია: რა გაკრთობს, შავ-თეიმურაზი ხომ არ მოსულაო?! ე.ი. შავ-თეიმურაზი დევთა მტკრია, მათთვის კარგად ცნობილი. მან სძლია დევებს და უმცროსი მზეთუნახავი შეირთო.

დევებთან ბრძოლის ზემოხსენებული ეპიზოდი ხასიათდება მზა ფორმულით და არაერთ ჯადოსნურ ზღაპარში გვხვდება, მაგ. „ზღაპარი ივანე ცისკარისა“: „საღამო ხანზე შვიდთავა დევი ცხენით სახლში მიდიოდა, როდესაც მიუახლოვდა დევის სახლს, ცხენმა წაიპორძიკა. – აჩუ, შე საოხრევ, ივანე ცისკარი ხომ არ დაგვხვდება სახლში, რა გაშინებსო – უთხრა დევმა ცხენს“ (ხალხური სიბრძნე 1963: 96). ასევე წაიპორძიკეს ცხრათავა დევის და თორმეტთავიანი დევის ცხენებმა. ივანე ცისკარმა სამივე დევი დახოცა. ეს ეპიზოდი ბევრ ჯადოსნურ ზღაპარში მეორდება ვარიორბული სახით. მაგ. „ზღაპარი უხეიროსი“ – უხეირო შეებრძოლა თეთრ დევს ხიდის ყურთან. „ცხენი რომ მოახლოვდება, ამოჰყოფს თავს, „ყვიტ“ იტყვის და შეუფრთხება ეს ცხენი დევს. უჯავრდება თეთრი დევი, მაგრამ ცხენი ფრუტუნებს და წინ არ მიდის. აჩუ, შე ოხერო, ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, იმას მოვკლავ და მანდ ვინა ზის, ვინ გაშინებს ისეთი, რომ მე ვერ მოვერევიო!“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 133). უხეირომ თეთრი დევი მოკლა, დააკრა ცხენს მევდარი და გააგდო დევის დედისკენ. ასევე მოექცა წითელ დევს და შავ დევს. ზღაპარში „უშვილო ხელმწიფე“ (იქვე: 294-296) დევებს ხიდის ქვეშ დაუდარაჯდა გმირი ბებრის შვილი. დევის ცხენი შეფრთხა. დევმა უთხრა ცხენს: აჩუ, ერთს აქებენ ბებრისშვილს, ის ვერას მიზამსო. ბებრისშვილმა სამი დევი დახოცა – თეთრი, წითელი და შავი და მათი ცხენები მას დარჩა. იგივე მოტივები გვხვდება ზღაპრებში „ივანე ფალავანი“ (იქვე: 453-460), „ხმელი ქურანი“ (უმიკაშვილი 1964: 30-34), „ზღაპარი ბალადხასი“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 219-222), „დევების კოშკი“ (გმირი ივანე გვერდიშვილი) (იქვე: 229-236).

დავუბრუნდეთ ივანე ცისკარს. ამავე ზღაპარში იხსენიება დევის რაში, რომელიც არაჩეულებრივი ძალით ხასიათდება. ამ რაშს ივანე ცისკარს თავისი საცოლე მიასწავლის, როგორც ეს ამ ტიპის ზღაპრებში ხდება: წადი, იმ დევს ერთი რაში ჰყავდა, ზღვაში რომ ცხვირივით კლდე დგას, იქ აბია... გამოიყვანე ის რაში და თუ რამეს გიშველის, ის გიშველისო... ივანემ წახა რაში. ხელის სისქე მტვერი და ჭუჭყი ედო ზურგზე (როგორც ეს სხვა ზღაპრებშიც გვხვდება). რაშმა უთხრა ცისკარს, სამ დღეს შავ მთაზე გამიშვი, რომ ღონე მოვიკრიბო, თორემ დასუსტებული ვარ და ვერა გზიდავო. ივანემ გაუშვა შავ მთაზე რაში, რომელმაც ღონე მოიკრიბა და ივანეს სამი ძუის ბენვი მისცა: როცა დაგჭირდე, დაწვი და შენთან გავჩნდებიო. ამ ზღაპარში რაში ჯადოსნურია, ადამიანივით მეტყველებს, პატრონს რჩევას აძლევს და კი არ დადის, დაფრინავს, როგორც ამ ტიპის სხვა ზღაპრებში. ის ამარჯვებინებს ივანეს, რომელიც ლახტით კლავს რკინის კაცს.

ზოგჯერ დევი არამცთუ რაშს ფლობს, არამედ თვითონ იქცევა ცხენად, რათა ზღაპრის გმირს შეებრძოლოს. ზღაპარში „ზღაპარი მონადირისა და დიდი არწივისა“ მონადირეს დევმა დაავალა ცხენის გახედნა. ცოლმა მონადირეს უთხრა: „თვითონ მამაჩემი იქცევა კვიცად და იმას უნდა უმხედროო. მე ერთ ლაგამს მოგცემ, ის ლაგამი ამოსდე იმას პირში, თან ერთი რეინის კვერი წაილე, აღმა აფრინდეს, თავში სცემე, დაღმა წავიდეს – ცხვირშიო. ნუ შეიბრძოლებ... მაგრა დაჲკარ, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებსო“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 113). ეს ეპიზოდი დევის თუ ქაჯის ცხენად ქცევისა და ცხენის გახედნისა არაერთ ზღაპარში გვხვდება. იხ.

ზღაპარი „ორმოცვილიანი ხელმწიფე“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 243-259). აქ რაშის გახედნა ქავთ ხელმწიფის მესამე დავალება იყო: „თვითონ ხელმწიფე გადაიქცა შეკაზმულ რაშად და მოჰგვარეს ვაჟკაცს... რაშმა იგრძნო, რომ ჩემზე უკვე კაცი ზისო და აფრინდა. გასწია პირდაპირ მზისკენ, ეგებ დავწვაო. ეს ვაჟკაცი გადაბრუნდა და ამოეკრა ცხენს მუცელზე. რაშმა იგრძნო, რომ ვაჟი მუცელზე მაკრავსო, დაეშვა ძირს – ეგებ ქვესკნელში ჩავიტანო. მინას რომ მიუახლოვდა, ვაჟი ისევ ზურგზე მოექცა... რაში მაშინ გაქანდა მარჯვნივ და უნდოდა მიეხალა კედლისთვის, მაგრამ ვაჟმა მოასწრო და გადახტა მარცხენა მხრისკენ. რაშმა გაიგო, რომ ვაჟკაცი მარცხნივ მომექცაო და გაქანდა მარცხნივ – ვაჟიც გადმოქანდა მარჯვნივ. რაშმა რომ ვეღარაფერი მოახერხა და გაქანდა თრიალეთის მინდვრისკენ... მივიდა თავის მიჯნასთან და დატრიალდა: იქნება თავბრუ დაეხვეს და გადმოვარდესო. შევიდა ეზოში, ვაჟკაცი გადმოხტა წინ, გადმოაგდო აღვირი, ერთი მაგრად აწნა ყურის ძირში მათრახი და გამნარებული რაში შევარდა საჯინიბოში“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 254-255). ეს სურათი ცხენის და ზღაპრის გმირის ორთაბრძოლისა გვხვდება ასევე ზღაპრებში: „ელენე მშვენიერის ზღაპარი“ (იქვე: 259-273), „უზუნდარას ზღაპარი“ (იქვე: 327-331), „მონალირე და მისი რაში“ (იქვე: 343-348), „მამის პოვნის ამბავი“ (იქვე: 377-382), „მეფე მუზარბი“ (იქვე: 461-466), „მფრინავი მზეთუნახავი“ (მეგრული ზღაპრები 1994: 15), „და და ძმა“ (იყო და არა ... 1977: 710-724), „ზღაპარი საკვირველისა“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 145-153), „და-ძმის ამბავი“ (იქვე: 305-317), „კოხტა ბიჭი“ (იქვე: 212-215), „ხელმწიფის ზღაპარი“ (იქვე: 321) და სხვ.

ცხენს არა მხოლოდ დევისთვის წართმევით მოიპოვებს ზღაპრის გმირი, არამედ ლამით მამის საფლავზე დარაჯობისასაც ნახავს და ეს ცხენები მამამისის მტერ ხელმწიფებს ან დევს ეკუთვნის. აქ ცხენები მიღმა სამყაროს, საიქიოს უკავშირდება. ზღაპარში „ხასან-ხუსანა“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 115-119) ხელმწიფის უმცროსმა ვაჟმა ლამით მამის საფლავზე დარაჯობისას (როგორც ეს მამამ უანდერძა) ნახა წითელ, თეთრ და შავ რაშზე მსხდომი ხელმწიფები, რომელთაც მამამისის საფლავის აოხრება უნდოდათ. ბიჭმა რიგრიგობით დახოცა ეს ხელმწიფები და სამივე რაში წამოიყვანა – წითელი, თეთრი და შავი. „ცხენთა ფერებს განსაკუთრებული ფუნქცია აქვთ. მათი სიმბოლური მნიშვნელობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ უძველესი საუკუნეებიდან... ქართული მწერლობის, ზეპირსიტყვიერების, მონუმენტური ფერწერისა და ხელნაწერების გათვალისწინებით შეიძლება ქართული ცხენის ძირითადი ფერების ვარაუდი – თეთრი, წითელი, შავი და ლურჯა ცხენი“ (ჩხეიძე 2002: 34). თეთრი, წითელი და შავი ცხენები თავიანთი შესაბამისი სამოსით და იარაღით გვხვდება არაერთ ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში. იხ. ზღაპრები: „უმცროსი ძმა“ (მეგრული ზღაპრები 1994: 129-132), „ჰატეს ზღაპარი“ (მეგრული ზღაპრები 1994: 135-139), „არვიცია“ (ხალხური სიტყვიერება 1956ბ: 9-17), „ხელმწიფის შვილი და ქოსა მეჩონგურე“ (იყო და არა..., 1977, 43-47), „ხელმწიფის შვილები და კოჭლი მეჭიანურე“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 183-188), „ვაშლა“ (ხალხური სიტყვიერება 1956ბ: 33-39) და სხვა. ზღაპარში „საფლავის დარაჯი“ (მეგრული ზღაპრები 1994: 24-29) კი გვხვდება ვარმავის ცხენი, ვერცხლის ცხენი და ოქროს ცხენი თავიანთი ატრიბუტებით. ყველა ამ ტიპის ზღაპარში ცხენის საჭირო დროს გამოძახება ხდება

სხვადასხვა საშუალებით (იხ. ქვემოთ), რომელსაც ცხენები აძლევენ ყოჩაღ მხედარს. „ბრონეულის ზღაპარში“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 400-406). ქვესკნელში მოხვედრილ უმცროს ძმას ქალმა ერთი ოთახი უჩვენა, სადაც სამი რაში ება: შავი, წითელი და თეთრი. თუ წითელზე შეჯდები, ნეტარება შენ, მაღლა ამოგიყვანსო; თუ თეთრზე შეჯექი, გვერდი-გვერდ წაგიყვანს და ვინ იცის, სად გაგგლეჯს, მინაზე იქნება თუ ზღვაში, სადმე დაგლუპავსო; თუ შავზე შეჯექი, ქვესკნელში ჩაგიყვანსო. წითელზე რომ ჯდომას დაიწყებ, ესენი ეცდებიან თვითონ შეგისვან და ლაჯებში გაგიძვრებიანო. მისცა ქალმა დარიგება, შეიძა თოკი და აიყვანეს. ბიჭი შავ რაშზე შეჯდა (ხალხური სიბრძნე 1963: 401-402). ზღაპარში „ხელმწიფის შვილი და დევთმეფე“ (იყო და არა 1977: 249-253) სამი რაშიდან წითელი სადაც გინდა, იქ წაგიყვანს, შავი ქვესკნელს ჩაგაგდებს, თეთრი ზევით აგიყვანს. ასევე, შავი, თეთრი და წითელი რაშები გვხვდება „ბრონეულის ამბავში“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 244-251). აქ თეთრი რაშია ბიჭის მაღლა ამოგიყვანი, შავი ქვესკნელს ჩამოყვანია, ხოლო წითელი – გვერდზე დამამტკრეველი – ისინი ერთმანეთს ეცილებიან მხედრის ზურგზე შესმას (იხ. ასევე ზღაპარი „სამნი ძმანი“, ხალხური სიტყვიერება 1956: 215-219).

ცხენი ზოგჯერ სადამსჯელო საქმიანობაშიც მონაწილეობს – დამნაშავეს ცხენის კუდზე გამოაბამენ და დააჩქლეთინებენ. ასეთი სასჯელი არაერთ ზღაპარში გვხვდება – იხ. „ლერნის ქალი“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 65-72), „ხელმწიფის ზღაპარი“ (იქვე: 73-80), „ზღაპარი ხელმწიფის ცოლისა, გველი რომ გაუჩნდა“ (იქვე: 208-216), „ია-ხათუნი“ (იქვე: 309-314), „საკვირველი ფრთა“ (იქვე: 336-340) „აქ რაშმა ბოროტი ბებერი სულ კბილით დაგლიჯა“, „დევებით სავსე ქუდი“ (იქვე: 466-469), „მეფე მუზარბი“ (იქვე: 461-466), „ხელმწიფის ცოლი და მოღალატე ძალუა“ (იყო და არა 1977: 48-50), „ზღვის ქალი“ (იქვე: 53-57), „ცხრა ძმა და ბაყაყი“ (იქვე: 67-69) და სხვ.

ცხენი, რაში, არა მხოლოდ ზღაპრის გმირს ემორჩილება, არამედ ზღაპრის მთავარ პერსონაჟ ქალსაც. ზღაპარში „ცხრა ძმა“ ნათქვამია – ერთ წელიწადს უბალახობა იყო და ხელმწიფის დავარდნილი ცხენი გაასუქა ქალმა, რომელმაც ცხენი დაარიგა: „რომ მიხვიდე ხელმწიფის კარზე, დაწექი, რამდენიც უნდა გცემონ, არ ადგეო, მანამ მე არ მოვიდე და გითხრა: ადექი, შე პატრონივით მუხანათოო“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 124). ცხენიც ასე მოიქცა და მკვდრეთით აღმდგარი ქალი ხელმწიფემ მეორედ შეირთო ცოლად. ეს ეპიზოდი გვხვდება სხვა ზღაპრებშიც, მაგ. „ცხრა ძმა და ერთი და“ (იყო და არა 1977: 538-548).

ზოგჯერ დევი მეგობრობს ზღაპრის გმირთან და თავისი ნებით აძლევს მას ცხენებს – იხ. ზღაპარი „მეცხვარე ბრმა დევი და ფეირის შეგირდი“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 143-149). ბიჭს დედ-მამა მოენატრა და ბრმა დევს დაემშვიდობა. დევმა უთხრა: „ამა და ამ თავლაში შედი, სამი რაში აბია, აუშვი, ერთზე შეჯექი და ორიც თან წაიყვანე. როცა აღარ გინდოდეს, ძუა გამოაძრე, გაუშვი და როცა დაგჭირდეს, ამოილე ძუა, ახსენე და ისევ შენთან მოვლენო... წავიდა ბიჭი, გამოეთხოვა მამობილს, შევიდა, ნახა, სამი ისეთი რაში აბია, ერთი მეორეს სჯობია, სამივე შეკაზმული და გამართულია: ერთი შავია, ერთი წითელი და ერთი თეთრი. შავს ერთი ხელი შავი

ტანისამოსი და იარალი აქვს უკან დაკრული, წითელი – წითელი და თეთრს – თეთრი. ბიჭმა გამორეკა, ერთზე შეჯდა, ორი თან წაიყვანა (იქვე: 146). ამ ზღაპრის მოტივები მეტად პოპულარულია და არაერთგზის გვხვდება. მაგალითად, იხ. ზღაპრები: „დევის სანახევრო“ (იყო და არა ... 1977: 143-153), „არვიცია“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 9-17), „მგელკაცა“ (იქვე: 258-269) და სხვ.

რაშები ზოგჯერ მეტამორფოზას განიცდიან, ისევე, როგორც ჯადოსნური ზღაპრის მთავარი პერსონაჟები. ზღაპრში „ოქროკაცა“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 183-188) ოქროკაცამ თავისი ცხენები აქცია თავგებად, თვითონ კატად იქცა, ქალი – კურდღლად, ბიჭიც – ვირთხად; მერე კი რაშები აქცია ხეებად, თვითონ ტყის მცველად იქცა, მესამედ ოქროკაცამ რაშები სიმინდად აქცია, თვითონ თოხნა დაუწყო სიმინდს (იქვე: 186-188), ბოლოს კი ყველას დაუბრუნა თავისი სახე. ამგვარი მეტამორფოზა უკავშირდება ზღაპრის გმირის მიღმა სამყაროში გადასვლას, სადაც ის მოივლის საიქიოს და ინიციაციაგამოვლილი ბრუნდება ამქვეყნად. ეს ყოველივე რაშსაც ეხება.

რაში ყოველთვის გულთმისანია და ზღაპრის გმირის დამხმარე ცხოველი. ზღაპრში „ხელმწიფის შვილი“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 216-221) ბიჭმა ცხენზე შემოისვა კუდიანი დედაბერი. „დაფრთხა ცხენი და დავარდა. ცხენი მიხვდა, რომ ბებერი ქაჯი იყო, ბიჭისთვის ავი უნდოდა“ (იქვე: 218).

რაში ჭკუას არიგებს ზღაპრის გმირს, ზრუნავს მის უსაფრთხოებაზე, სასარგებლო რჩევებს აძლევს მას. რაშის რჩევით კონსტანტინე გადააგდებს უკან კაჟს, კვერს, სავარცხელს. გაჩნდება სალი კლდე, რკინის კლდე, უღრანი ტყე და ვაჟი გადარჩება („ეონისტანტინეს ზღაპარი“, ხალხური სიბრძნე 1963ა: 221-224).

ცხენი ძირითადად ტერმინით „რაში“ იხსენიება ჯადოსნურ ზღაპრებში, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება ტერმინი „ტაიჭიც“ („ორმოცვილიანი ხელმწიფე“, ხალხური სიბრძნე 1963: 243-259) – „გაპკრეს უზანგი თავისი ტაიჭებს“ (იქვე: 244); ასევე გვხვდება ტერმინი „მერანი“ („მადლიერი მკვდარი“, იქვე: 371-377).

ზღაპარში „ბოჟმის ყვავილი“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 1963, 176-189) ნახსენებია ნიავქრის ცხენები, რომელიც ქაჯთ ქალს ჰყავდა. ეს ალბათ ცხენის ჯიშია. ისევე, როგორც ქარის ცხენი – თეთრი ცხენი, რომელიც კუდიან დედაბერს ეკუთვნის ზღაპარში „ელენე მშვენიერის ზღაპარი“ (იქვე: 259-273) – ზღაპრის გმირი სწორედ მას ირჩევს.

ზოგჯერ ცხენს უფალი უბოძებს ზღაპრის გმირს. „ჩაქუჩაში“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 279-280) ჩაქუჩამ ინატრა: ღმერთო, ისეთი რაში მომეცი, რომ სხვა რაში რასაც ერთ წელიწადს გაივლის, მან ერთ წუთში გაიაროს. გაჩნდა რაში. ზღაპარში „მენახირე“ (იქვე: 297-299) მენახირემ ამოილო თავისი ნაფოტი და ერთი კარგი შეკაზმული ცხენი და ტანისამოსი ინატრა, რომელიც მიეცა. ზღაპარში „ხელმწიფის შვილი და დევთმეფე“ კი (იყო და არა ... 1977: 244-253) დევთდედამ მიასწავლა ბიჭს თეთრი, წითელი და შავი რაშის სამყოფელი. ამ რაშებს თან სათანადო იარალი და ტანისამოსიც ახლავს. თუ შავზე შეჯდები, ქვესკნელში ჩაგაგდებს, თუ თეთრზე – ზეცას აგიყვანს, თუ წითელზე, საცა გინდა, იქ წაგიყვანს (იყო და არა ... 1977: 251). რაშის გამოძახება აქ რაშის ძუის მოტრუსვით ხდება.

ზოგჯერ ზღაპრის გმირი ქვედა ქვეყნიდან, ორმოდან, ჭიდან ამოჰყავს ცხენს, ზღაპარში „უშვილო ხელმწიფე“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 294-296) დევებს ქალი ჭაში ჰყავდათ. იქ ჩავიდა ბებრისშვილი და ჩარჩა შიგ. თეთრმა და წითელმა ცხენებმა ვერ ამოიყვანეს, შავმა ცხენმა კი უთხრა მას ზღაპრებში პოპულარული ფრაზა: „სამჯერ დამკარ ეს მათრახი, სამპირად ამძვრება სამპირი შოლტი ტყავი, მარილი მომაყარეო“. ისკუპა ამ ცხენმა, ამოიყვანა ბიჭი. გაუშვა ამან ცხენი. ბენვი გამოიძრო და მისცა ცხენმა: „სადაც გაგიჭირდეს, მახსენე და იქა ვარო“ (იქვე: 296). ზემოსენებული ცხენები უცვლელად გადადის ზღაპრიდან ზღაპარში (მაგ. „ხელმწიფის შვილი და მისი რაში“ – იყო და არა ... 1977: 207-213; „ზღაპარი საკუირველისა“ – ხალხური სიტყვიერება 1956: 148 და სხვა).

შავი რაში განსაკუთრებული ცხენია ზღაპარშიც „ზღაპარი საკუირველი ქალისა“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 303-306). აქ ერთ დიდ ხეზე დაკიდებულმა მკვდარმა ბიჭს უთხრა: თუ ჩემი გათავისუფლება გინდა, აქ მოიცადე საღამომდის. საღამოზე სამი რაში ჩამოივლის – შავი, თეთრი და წითელი. შავ რაში შეაჯექი და თვითონ იცის, სადაც წაგიყვანსო. შავმა რაშმა ერთ ეზოში შეიყვანა, სადაც ერთი ქალი ნახა. აქ შავი რაში მიცვალებულთა სამყაროს უკავშირდება და შუამავალია სააქაოსა და საიქიოს შორის.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზღაპრებში ცხენი რთულ მეტამორფოზებს გადის და ბოლოს მეცნიერებით აღდგება. ასეა ეს ზღაპარშიც „გველადქცეული მზეთუნახავი“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 307-309). გაცოცხლებული ბიჭი თავის მზეთუნახავ ცოლს შეეხვენა, ისეთ ცხენად მაქციე, რომ გულთმისანი ვიყო, ლაპარაკი ვიცოდე და კარგი მოსაწონიც ვიყოო. ცოლმა მართლაც აქცია გულთმისან ცხენად. ეს ცხენი მოღალატე ქალმა ხელმწიფე ქმარს დააკვლევინა. მისი სისხლის წვეთიდან ამოვიდა ვაშლის ხე, რომელიც ქალმა მოაჭრევინა, მაგრამ ნაფოტი ათი წლის გოგომ ვაშლის ხის თხოვნით აბანოში ჩააგდო. ეს ნაფოტი ბატად იქცა, გაიტყუა მობანავე ცოლ-ქმარი, თვითონ ისევ ნაპირზე გავიდა და ბიჭად იქცა, თავისი ხანჯალი აიღო, დახოცა მოღალატე ცოლ-ქმარი და წავიდა თავის ცოლთან.

ზღაპარში „საკუირველი ფრთა“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 336-340) უმცროსი ძმა ირჩევს ისეთ ცხენს, რომელსაც ჯერ თითო არა აქვს დადებული და რომელიც ხუთი წლისაა. ეს ცხენის არჩევის ეპიზოდიც პოპულარულია ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში. (იხ. ზღაპრები „მადლიერი მკვდარი“, იქვე: 371-377), „მამის პოვნის ამბავი“ (იქვე: 377-382) და სხვ.

გზად ბიჭი ერთ მანათობელ ბუმბულს ნახულობს. რაშმა ურჩია, არ აიღოო, მაგრამ ბიჭმა მაინც აიღო და ხელმწიფეს მიართვა. ხელმწიფემ ახლა ბუმბულის პატრონი ფრინველის და ფრინველის პატრონი ქალის მოყვანა დაავალა ბიჭს. რაში დაეხმარა, დაარიგა ბიჭი და ორივე მოაპოვებინა, ბოლოს ხელმწიფემ ბიჭს ქალის თხოვნით ქალის თორმეტი რაშის მოყვანა დაავალა, რომლებიც ზღვაში ცხოვრობდნენ. ყველა ზემოხსენებული მოტივი პოპულარულია ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში. ამ ზღაპარში შემდეგ მოდის ჯადოსნურ ზღაპრებში ხშირად გამეორებული ეპიზოდი რაშების ზღვიდან ამორეკვისა – ბიჭის რაშმა ჩაიცვა თერთმეტი კამეჩის ტყავი და ბიჭს უთხრა, მე ზღვიდან იმ რაშებს შევებრძოლები, თუ დავძლიე,

ამოვრეკავ, თუ მომკლეს, სისხლი ამოჩქეფს უცბად და მაშინ შენ იცი, მე მკვდარი ვიქნები, შენ თუნდა ხელმწიფესთან წადი, თუნდა შინ წადი, მე ვერაფერს გიშველიო (ხალხური სიბრძნე 1963ა: 339). ბიჭის რაშმა ამოიყვანა ზღვიდან ქალის რაშები. ქალმა ახლა რაშების მოწველა და მათ რძეში ბანაობა სთხოვა ხელმწიფეს – ეს ეპიზოდიც ძალიან პოპულარულია და ვარიანტებს იჩენს. ერთ-ერთი ვარიანტით ქალმა ჩუმად ბეჭედი მისცა ბიჭს, ეს დაანახვე რაშებს და მოიწველებიან. მერე ბეჭე-დი მდუღარე რძეში ჩააგდე და რძე გაგრილდებაო. ბიჭმა დაიბანა, ხელმწიფე ჩაიწვა. ასევე, ზღაპარში „შავდათუაშვილი“ (იყო და არა ... 1977: 201-207) რაშმა გააგრილა საარაყე ქვაბში მდუღარე კურდღლის რძე, ბიჭი შიგ ებანა, ხელმწიფე კი გაიფუფქა (იქვე: 207). იხ. ასევე ზღაპარი „ხელმწიფის შვილი და მისი რაში“ (იქვე: 207-213). აქ აქლემის რძე ქალის ბეჭდით გაგრილდა. ზღაპარში „მეფის სასახლე“ (ქართული ხალხური ზღაპარები, 1959, 237-243) არა კურდღლის, ირმის, ცხენის ან აქლემის რძე დუღს ქვაბში, არამედ უბრალო წყალი და რაში არიგებს ბიჭს – თუ პირველად შენ შეგხვდა ქვაბში ჩახტომა, სველი ტანისამოსი ჩაიცვი, თანაც გვერდით მიყოლიე, წყალს შევუბერავ და განელდებაო (იყო და არა ... 1977: 242).

ზღაპარში „არვიცია“ (ხალხური სიტყვიერება 1956ბ: 9-17) არვიციას რაში არა ზღვის რაშებს, არამედ ზღვის ღორს ებრძვის და პატრონს უუბნება: „მე ჩავალ საომრად, მხოლოდ თუ სისხლმა ამოასხა, იცოდე, რომ ჩემი დაჭრილი იქნება და მოვალავ და თუ ქაფმა ამოასხა, მაშინ კი მომეშველე, თორემ ღორი დამძალავს“ (იქვე: 16).

ზღაპარში „გრძნეული ცხენი“ (იქვე: 39-44) ბიჭის რაში წყლის ცხენს ებრძვის ზღვაში და ამარცხებს, ხოლო ზღაპარში „ზღაპარი საკირველისა“ (იქვე: 145-153) აღწერილია რაშის შებრძოლება ნიავქრებთან ნიავქრის რძისთვის. ზღაპარში „ხელმწიფისა და იმის ცხრა ვაჟისა არაკი“ (იქვე: 153-158) ქალის რაშებს ამორეკავს ზღვიდან ბიჭის რაში და მათ რძეში იბანავებს ბიჭი, ხელმწიფე კი გაშეშებულს ამოიღებს ქვაბიდან. ზოგ ზღაპარში ბიჭიც იხარშება მდუღარე წყალში, მაგრამ მერე მკვდრეთით აღდგება და ხელმწიფეს აგდებს მდუღარეში. ზოგ ზღაპარში რაშს პირში და ყურებში თოვლი და ყინული აქვს და იმით აგრილებს ბიჭის საბანაო წყალს. საინტერესოა, ასევე, ზღაპარი „მონადირე და მისი რაში“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 349), რომელშიც რაში პატრონის მკვდრეთით აღმდგენელიც არის და მონადირეების მსაჯულიც, არა მხოლოდ ქომაგი ცხოველი (ასევე, იხ. ზღაპარი „მამის პოვნის ამბავი“; იქვე: 377-382), „ზღაპარი საკირველისა“ (ხალხური სიტყვიერება 1956:145-153), „ხელმწიფის ზღაპარი“ (ხალხური სიტყვიერება 1952ბ: 321-324), „მფრინავი მზეთუნახავი“ (მეგრული ზღაპარები 1994: 5-16).

ასევე პოპულარული მოტივებისგან შედგება ზღაპარი „მონადირე და მისი რაში“ (ხალხური სიბრძნე 1963ა: 343-348) – შურიანმა მონადირეებმა ხელმწიფეს უთხრეს, მავან მინდორზე რომ რაში ჩამოდის ციდან წყლის დასალევად, იმ რაშთან გაეგზავნა ბიჭი. ბიჭმა წყაროს „გადააფარა ზედ ცხრა კამეჩის ტყავი, დაურჭო ოცდასათმეტრიანი ლურსმანი, დააყარა ცხრა კამეჩის ტყავზე ცხრა კილო მარილი და მარილს ცოტა წყალი მოაწეაპნეაპა... შუადლისას ჩამოვიდა მაღლიდან რაში, როგორც შურდული, ჩამოფრინდა, დაეშვა წყაროს ნაპირას. რომ დაინახა წყაროს

ზემოდან ტყავი ჰქონდა გადაფარებული, ტორის ცემა დაუწყო, მაგრამ წყალი მაინც ვერ გამოაჩინა. მერე გაპრაზებულმა რაშმა მარილს დაუწყო წენატანჯუტი. მარილმა წყალი უფრო ძალიან მოაწყურა. მაშინ რაშმა დაიძახა: ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, ოღონდ მოდი წყალი დამალევინე და სადაც მეტყვი, იქ ნამოგყვებიო“ (ხალხური სიბრძნე 1963: 345). ეს მოტივები გვხვდება ზღაპრებში „მფრინავი მზეთუნასავი“ (მეგრული ზღაპრები, 1994, 5-16), „ორმოცხვილიანი ხელმწიფე“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 70-88) და სხვ.

ზოგჯერ რაშის კუთვნილი ნივთი ჯადოსნურია – „ლილოველ მონადირეში“ (ხალხური სიბრძნე 1963: 348-352) ერთმა დედაბერმა ასწავლა ძალლად ქცეულ ლილოველ მონადირეს, შენი ცხენის მათრახს გაეხახუნე და ისევ კაცად იქცევიო. ისიც ასე მოიქცა და დაიბრუნა კაცის სახე.

ხანდახან რაშად და მის ატრიბუტებად ბნელი ძალა-ქაჯი იქცევა (იხ. ზღაპარი „ერთი ბიჭის ზღაპარი“; ხალხური სიბრძნე 1963: 428-434) და სხვ.

რაში ზოგჯერ სხვა მხედარს ეკუთვნის (მაგ. დევს) და არა ზღაპრის გმირს, რიგ ზღაპრებში კი მისი პირველი მხედარი ზღაპრის გმირია. ცხენი გაუხედნავია და მას ზღაპრის გმირი უცებ იმორჩილებს და ისაკუთრებს („ხრისტაგან და ბელთაგან ტარიელების არაკი“) (ხალხური სიბრძნე 1963: 436-453) და სხვა. ზოგჯერ დევი თავისი ნებით ჩატარების ზღაპრის გმირს რაშს. ზღაპარში „ივანე ფალავანი“ (იქვე: 453-360) დევმა ივანეს ისეთი რაში აჩუქა, რომ მისი მსგავსი მთელ ხმელეთზე არ იშოვებოდა. ხელმწიფის უფროსმა ქალებმა მამას მოსთხოვეს, ძმა დევს რომ ოქროსფაფრიანი რაშები ჰყავთ, ისინი იშოვეო. ხელმწიფემ ივანე გაგზავნა ამ რაშების მოსაყვანად. ივანემ თავისი რაშის დახმარებით მიუყვანა მეფეს ოქროსფაფრიანი ცხენები.

რაში არა მხოლოდ ქომაგი ცხოველია, არამედ გაჭირვების ტალკვესი, მის მფლობელს არაფერი გაუჭირდება („მეფე მუხარბი“, ხალხური სიბრძნე 1963: 461-466). ზოგჯერ ცხენი გარეგნულად ჯაგლაგია, მაგრამ სინამდვილეში რაშის თვისებები ახასიათებს, ის თავისი პატრონის გადამრჩენელია. ასეა ზღაპარში „ზღაპარი ველის ყვავილისა“ (იქვე: 487-490). თავის გოგოს მამამისმა გველისთვის ნათხოვნი ველის ყვავილი მიუტანა, რომელშიც შვილის სიცოცხლე მისცა. „ქალი ბალში ესურვილება თავის ყვავილებს. ბალის გარეთ ცხენის ჯოგია. უცებ, ჯოგიდან ერთი ჯაგლაგი ცხენი დაიძახებს: ველის ყვავილო, რომ იცოდე, რაც არის შენს თავს, ეგრე აღარ გაიხარებდი... მამაშენმა მაგ კონაში შენი სიცოცხლე მისცა გველსაო. თვრამეტი დღის შემდეგ მოვა გველი და წაგიყვანსო. როდესაც გველი მოვა და გაგამზადებს, მამა გკითხავს: – რა მოგცეო და შენ ჩემი თავი სთხოვეო!“ (ხალხური სიბრძნე 1963: 487-488). მისცა მამამ ჯაგლაგი გოგოს. ცხენმა გოგო დაარიგა: ერთი წმინდა სავარცხელი, ერთი მინა ზეთი და ლურსმნები წამოილეო. გზაში ცხენმა გოგო უკან მიახედა, ხომ არავინ მოდისო? გველი მისდევდათ. ცხენმა გოგოს გადააგდებინა ჯერ სავარცხელი – ჯაგები და ბარდები გაჩნდა, მერე ლურსმნები – აღმართები გაჩნდა, გველი ზედ დაიკუნა, ბუზისტოლა გადარჩა, მერე კი მინით ზეთი – გაჩნდა ტბა. ცხენმა უთხრა გოგოს: მე დაღლილი ვარ, დამეძინება, ის ბუზისტოლა ბებრად იქცევა, გეტყვის შვილო, ბენვი გამოაძრე ცხენსა, გადადევ ტბაზე, გამოიყვანე, შეგაეცევ, – მაგრამ შენ არ შეცდეო. ვერ აცდუნა ბებერმა ქალი (ხალხური სიბრძნე

1963: 488). გზა რომ განაგრძეს, ცხენმა ისევ დაარიგა ქალი – ჩვენ ქალაქში შევალთ და ვინც პირველად ხელი მომკიდოს, იმას გაჰყევიო... ერთი ახალგაზრდა სოვდაგარის შვილი მივიდა ცხენთან, დაუჭირა აღვირი და უთხრა ქალს: შენ ცოლი და მე ქმარიო. ქალი გაჰყვა ცოლად. ქმარმა ცოლის მამის ნახვა ინდომა, შეჯდა ცხენზე და წავიდა, გონიერი ცხოველია, თვითონ მიმიყვანსო. ცხენი ხმას არ იღებდა. მივიდა გველის ტბასთან, ქალის ქმარმა არაფერი იცოდა, გამოაძრო ცხენს ნამნამი და ბებერს გადაუგდო. გამოვიდა ბებერი, იმ ღამეს შეაქცევდა ვაჟს, რომელმაც ვერც მეორე დღეს და ვერც მერე გზა ვერ გაიგნო. ბებერმა ამ ვაჟს შეუცვალა სამახარობლო წერილი, როცა მის ცოლს ვაჟი ეყოლა – შენს ცოლს ძალლის ლევი ეყოლაო. სოვდაგრის შვილმა მისწერა, გაახურეთ საკირე და იმაში ჩააგდეთო. ეს შეიტყო ცხენმა, დასწყვიტა თოკი და გაქანდა ქალისკენ, ნაიყვანა, ერთ მინდორზე გავიდნენ. ცხენმა უთხრა ქალს: ჩამოდი, აიღე დანა და ყელი გამომჭერიო, ასო-ასო დამჭერი, დამალაგე, მერე ინატრე რაც გინდა და იმად იქცევა ჩემი ნაჭრებიო თუ მეც რამედ გინდივარ, ჩემთვისაც გადადევ ერთი ნაჭრიო. ქალმა იუარა. თვალები და-ხუჭე და ისე დამკალიო, – უთხრა ცხენმა. ქალი ასეც მოიქცა, ცხენიც გაცოცხლდა და მშვენიერი დუქან-ბაზრიანი ქალაქიც გაიმართა. ქალი ქალაქის უფროსი იყო. ბოლოს სოვდაგრის ვაჟმა ნახა ცოლი და ყველაფერი გაირკვა. როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს ცხენის მეტამორფოზასთან. ამ ზღაპრის მოტივებიც მეტად პოპულარულია და არაერთ ჯადოსნურ ზღაპარში გვხვდება, მაგ. „თვალჩიტა“ (ხალხური სიბრძნე 1964: 72-90), „შავჩიტა რაში“ (იყო და არა ... 1977: 528-537), „სოვდაგრის შვილი“ (იქვე: 622-635), „შავჩიტა“ (იქვე: 119-122), „არწივის შვილი“ (იქვე: 122-126), „მზექალა და მზევარდა“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 50-56), „კონსტანტინე“ (ქართული ხალხური ზღაპრები, 1952, 59-62) და სხვა. ზოგიერთი მოტივი, მაგ. ცხენის და ზღაპრის გმირის მტრისგან გაქცევის ეპიზოდი, ხშირად გვხვდება ზღაპრებში. იხ. „ბოლოლა“ (ხალხური სიბრძნე 1904: 130-136) „ქაჩალ-მებატე“ (იყო და არა ... 1977: 648-659) და სხვა. ამ გაქცევას ვ. პროპი მაგიურ გაქცევას უწოდებს. გაქცევა ხდება გადაგდებული ნივთებით ან მეტამორფოზებით (პროპი 1946: 319-323) (იხ. ტიპოლოგიურად მსგავსი ზღაპრებიც „ლარიბი გლეხის შვილი“ (ხალხური სიტყვიერება 1950: 247-250) და „ხელმწიფის ზღაპარი“ (იქვე: 252-256)). აქ რაში ვიშ რა დავიღალეს ჰყავს. ეს რაში ბიჭის მადლიერია, რადგან მან დევს ქვიშა დაუყარა და რაშს – თივა. რაშმა გააქცია ბიჭი ვიშ რა დავიღალესგან, შეჭმას გადაარჩინა, წააღებინა სავარცხელი (ჭალა), ფილთაქვა (გორები), სამელნე (წყალი). მათი გამოყენებით ბიჭს გამოდევნებული ღორი და ვიშ რა დავიღალე წყალში დაიხრჩნენ. ბიჭი ხელმწიფებული დადგა მებატედ, მეფის უმცროსი ქალი შეირთო, დამალა თავისი ვინაობა (ოქროს ქოჩორი აქვს), თავისი რაშის დახმარებით ასრულებდა ხელმწიფის დავალებებს, სჯობნიდა მეფის უფროს სიძეებს, ომში იმარჯვებდა, მტერს „რასაც თითონა ხოცავდა, რასაც არა და ორ იმდენს რაში“ (იქვე: 256).

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში იხსენიება როგორც საგანგებოდ განვრთნილი რაშები, ასევე ჩვეულებრივი ცხენები, ზოგჯერ ჯაგლაგებიც, ან კოჭლი ცხენი, რომელთაც სამარქაფოდ იყენებს ზღაპრის გმირი (იხ. „საფლავის დარაჯი“, „ზემოთა ქვეყნის ხელმწიფე“, „აზარფეშის ზღაპარი“; მეგრული ზღაპრები 1994) და სხვა.

როგორც წესი, ზღაპრის გმირი საგანგებოდ ირჩევს ცხენს თავისი ცოდნის, შესაძლებლობების და გემოვნების მიხედვით. „ზემოთა ქვეყნის ხელმწიფეში“ (მეგრული ზღაპრები 1994: 30-44) ბიჭის არჩეული რაში მხოლოდ ფოლადს ჭამს, ისეთი ძლიერია, ვერც ზღვა უშლის ხელს და ვერც მთა, ფრინავს. განსაკუთრებულ რაშს მხედარიც განსაკუთრებული ჰყავს და რაში სხვა მხედარს ვერ ჰგულბს. „ბიჭს ხმაური შემოესმა და დაინახა თავის რაშზე ვიღაც ბიჭი ამხედრებულა და მოდის. რაში მოაპობს ყველაფერს, მაგრამ მხედარი ნამდვილად არ არის რაშის შესაფერი. ჰყავი ისლამის ვაჟმა თავის რაშს თვალი ჩაუკრა, რაშმა პატრონი იცნო და ახალი მხედარი გადმოაგდო“ (იქვე: 42-43). ეს სამჯერ განმეორდა. მხედარს უნდოდა ხანჯლით მოეკვეთა თავი რაშისთვის, მაგრამ ჰყავის ვაჟმა თვით მხედარს გააგდებინა თავი, „შეჯდა თავის ცხენზე, ცხენმა პატრონი რომ იგრძნო, შეიშმუშნა და ისევ მშვენიერ რაშად იქცა“ (მეგრული ზღაპრები 1994: 43).

ზღაპარში „ხელმწიფის შვილის თავგადასავალი“ (იყო და არა ... 1977: 739-752) რაშს მოეწონა ოქროსთმიანი ჭაბუკი და უთხრა: „თუ შეგიძლია ხელში ამიყვანე და ისე გამიყვანე, თორემ ეშმაკისგან დაწყევლილი ვარ და ფეხი ზღურბლზე არ დამედგმევინებაო“ (იქვე: 743). რაშმა ბიჭი მიიყვანა „თავისი პატრონის სამფლობელოს საზღვარზე და უთხრა, ამას იქით მე ძალას ვკარგავ და აღარ გამოგადგები. თან აი, ეს ბეჭედი წაიღეო. ჩლიქიდან ერთი ალმასის ბეჭედი გამოიღო და ბიჭს მისცა – ოლონდ ჩუმად იქონიე და ყველას ნუ დაანახვებ, სადაც დაგჭირდეს, ამოიღე, გაიკეთე მარჯვენა ხელის ნეკა თითზე და ყველა დაბრკოლებას დასძლევო“ (იყო და არა ... 1977: 743).

რიგ შემთხვევაში ზღაპრის გმირს მოკლული დევების ცოლები აძლევენ თეთრ, წითელ და შავ რაშებს („ტერკუსია“, ხალხური სიტყვიერება 1956: 106-117), ზოგ-ჯერ კი რაში მიწიდან ამოდის, როცა მეჯოგე მიწას ფეხს დაჰკრავს („პირახმათი“, ხალხური სიტყვიერება 1952: 48-54). ზღაპარში „ნაბოლარა ძმა“ (იყო და არა ... 1977: 754-770) უმცროსმა ძმამ დახოცა სამთავიანი, ცხრათავიანი, თორმეტთავიანი დევები, მათი რაშები კი – შავი, წითელი და თეთრი – თავლაში დამალა. შავმა რაშმა მოიწონა ბიჭი და უთხრა: „ახლავე დამადგი უნაგირი, ბალიშქვეშ ერთი ხელი აბ-ჯარი და ტანსაცმელია, გამოიღე, შენც მოიკაზმე და წავიდეთ... დამარტყი მათ-რახი, რაც ძალი და ღონე გაქვს, ერთი ხმამაღლა დამკივლე, რომ გულში ურჟოლა შემიდგეს და მერე მე ვიციო“ (იყო და არა ... 1977: 760-761). ეს ბოლო ფრაზა არა-ერთგზის გვხვდება ჯადოსნურ ზღაპრებში ვარირებული სახით.

ზღაპრის გმირი ზოგჯერ სათანადო ცხენს ყიდულობს, გუმანით გამოიცნობს რა მას. ასეა ეს „აზარფეშას ზღაპარში“ (მეგრული ზღაპრები 1994: 44-59). აქ ერეკ-ლეს ცხენი ფრინავს და ადამიანივით ლაპარაკობს, როგორც ეს რაშებს სჩვევიათ და ერეკლე მას ყიდულობს.

ზოგჯერ ცხენს ზღაპრის გმირს ბერები აძლევენ, რაც იგივე ღვთის საჩუქარია, რადგან ღვთის კაცისგან არის. ზღაპარში „უსეინა და ბაირამა“ (იყო და არა ... 1977: 69-74) უსეინას სამმა ბერმა შესთავაზა სამი ცხენი – თეთრი, წითელი და შავი. უსეინამ შავი ცხენი ამოირჩია, რომელიც ერთ წამში მიიყვანდა ცოლთან. როგორც ვხედავთ, უპირატესობა აქ შავ ცხენს აქვს და არა თეთრ ცხენს, რომელიც ბევრ

ზღაპარში სჯობნის წითელ და შავ ცხენებს. ასევე ზღაპარში „ალმასხანი“ (იქვე: 85-92) უპირატესობა შავ ცხენს ეკუთვნის. „ალმასხანს“ ტიპოლოგიურად ეხმაურება „ზღაპარი ვაჟადქცეულისა“ (იქვე: 95-97). აქ რაში ომშიც მონაწილეობს და ეს ზღაპრებში აღნერილია პოპულარული ფრაზით: „რამდენსაც თითონ ჰკლავდა, იმის მეტს რაში კბილით ახრჩობდა და ფეხით ჰკელამდა“ (იქვე: 96).

პატრონის მიერ რაშის გამოძახება ზღაპართა უმეტესობაში ფაფრის ან ძუის ბეწვით ხდება, ზოგჯერ კი ადამიანის თმით, ან აღვირის გაჩხაკუნებით, ან ცხვირ-სახოცით, ან სალამურით („უშვილ-უძეო მონადირე“ (იყო და არა ... 1977: 258-253); „სამი ძმა“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 139-148); „ტერკუსია“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 106-117); „მგელკაცა“ (იქვე: 258-269); „უხთო“ (ტეგრული ზღაპრები 1994: 71-74); „მამის ანდერძი“ (იქვე: 98-103); „ქურდი და ხელმწიფის შვილი“ (ხალხური სიბრძნე 1964: 159-165); „ალმასხანი“ (იყო და არა... 1977: 85-92) და სხვა); ლურჯი და წაბლა რაშები იხსენიება ზღაპარში „თორმეტი ბატი“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 203-212).

იმისთვის, რომ ზღაპრის გმირმა გმირობა ჩაიდინოს, საჭიროა სათანადო რაში, რომელიც მხოლოდ ზღაპრის გმირისთვის არის განკუთვნილი. ზღაპარში „შახმე-ილი“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1952: 66-74) მეფის შვილი შახმეილი რომელ ცხენზეც შეჯდებოდა, ნელს წყვეტდა. ბოლოს ძიძამ ურჩია, მამაშენს ულვაშის ძირში გასაღები აქვს, რო დათვრება, ის გასაღები ამოაცალე, ჩადი თავლაში და იქ არი შენი შესაფერი ცხენიო. მართლაც, შეაღო კარი და რაშმა შეიჭიხვინა: გელი და მოხველ კიდეცო, დაადგა უნაგირი, შეჯდა და წავიდა.

ზოგჯერ ზღაპრის გმირს ბებერი ქაჯი დედაკაცი აძლევს კვიცს-რაშს (იხ. „ხელმწიფის შვილები და კოჭლი მეჭიანურე“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 183-188)) და რეინის მათრახს რაშის მოსათვინიერებლად, ხოლო ზოგჯერ რაში ფრთიანია და ხელმწიფის უმცროსი ვაჟი მას მამის ოქროს ყანის გაფუჭების დროს იჭერს და უმეგობრდება, ოღონდ ამ ამბავს საიდუმლოდ ინახავს; რაშიც საიდუმლოდ ეხმარება მას მომღერალი ფარშევანგისა და მძინარე მზეთუნახავი ქალის მოყვანაში („სამი ძმა“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 139-148)).

„არვიციას“ ზღაპარში (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 9-17) ბიჭმა ჩიტის მიერ აკრძალულ ოთახში ნახა რაში, რომელმაც მას ჭკუა დაარიგა და ასწავლა, თუ როგორ მომატებოდა ლონე ამღვრეულ და ლურჯ წყლებში ბანაობით. ამავე ზღაპარში გვხვდება „სურამის ციხის“ ლეგენდის მსგავსი მოტივი – „რაშმა უთხრა ბიჭს: მაგ ციხეს სადაც აშენებენ, იმ ადგილას დედამიწაში ჩემი ძმა არის დაბმული. ის რომ დაიჭიხვინებს, დედამიწა იძვრება და იმაზედ ინგრევა კედლებიო. მიდი შენ და უთხარი: ამ კედლებს მე დავაყენებ, მხოლოდ მიწის თხრაში რაც ვიპოვო, ის ჩემი იყვეს-თქო და თუ დაგთანხმდნენ, დაუწყე მიწას თხრაო“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 12). ბიჭმა თხრისას ჯერ ბეჭედი იპოვა, მერე საძირკვლიდან ამოვარდა რაში და გაექანა თავისი ძმისკენ. იგივე მოტივი გვხვდება ზღაპარში „მეფის სასახლე“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 237-243) – მეფის შვილი წავიდა ედემის ბაღის ხის ტოტის მოსატანად, რათა სასახლის საძირკვლში ჩაეტანებინა, რომ სასახლე აღარ დანგრეულიყო.

ზღაპარში „ზღაპარი საკვირველისა“ (ხალხური სიტყვიერება 1956:145-153) უმცროს ძმას, რომელსაც ჩვეულებრივი ცხენი ჰყავს, გზაზე უთხრა ერთმა თავის გოხამ: შენ მაგ ცხენით საკვირველს ვერ მოიტან, ცხრაკლიტულში რომ რაში უბია, ის სთხოვე მამაშენსო. „მისცა ოთახების გასაღები მამამ და უთხრა: რვას გააღებ და მეცხრეში რო შეხვალ, იქ ერთ რაში ნახავ, ზურგზედ ერთი მტკაველი ობი აქვს მოკიდებული. ბამბის საურველი გადაუსვი, ბამბის მათრახი გადაჲკარ, ისე გამოიყვანე, თორემ დაგვლეჯს, ცოცხალს არ გაგიშვებსო“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 147).

ცხენი ზოგჯერ ნაქურდალია („ალადინის ზღაპარი“ (მეგრული ზღაპრები და მითები 1994: 89-94), ხოლო ზოგჯერ მას ლვთიური ძალა უბოძებს გმირს („მამის ანდერძი“ (იქვე: 98-103)).

ზოგჯერ რაშის კუთვნილი ნივთით შენდება საგანგებო სასახლე. „ამრაზგულის ზღაპარში“ (მეგრული ზღაპრები 1994: 126-129) მეფემ ალექსანდრეს რაში აჩუქა და უთხრა: „ამ რაშს ყურიდან ლურსმნები ამოუღე, შეარჩიე კარგი ადგილი, იქ ჩაარჭვე და მორთულ-მოკაზმული სასახლე გაშენდებაო“ (იქვე: 127).

ზღაპარში „გველი და კაცი“ (ხალხური სიბრძნე 1904: 37-39) კაცი, რომელსაც გველმა აკოცა ენაზე და ყველასა და ყველაფრის ენა ესმოდა, ცოლთან ერთად ცხენით მიდიოდა. „ქალი ორსულადაა, ზის მაკე ცხენზე და უკან წამოჩრიხვული კვიცი მისდევს. კვიცი ჩამორჩა და კაცმა გაიგონა მისი ლაპარაკი: დამიცადე დედაო! ცხენმა კი დაუძახა: არა გრცხვენია, მე ოთხი სული მოვდივარ და შენ ერთი სული, ისიც ასე ახალგაზრდა, კიდევ მეუბნები, დამიცადეო!“ (იქვე: 38). ეს ცხენის და კვიცის დიალოგი არაერთ ჯადოსნურ ზღაპარში გვხვდება (იხ. „დურგალი და მისი ცოლი“ (იყო და არა ... 1977: 132-135); „ფრინველების ენის მცოდნე“ (იქვე: 1977, 257-258); „ზღაპარი საწყალი კაცისა, ფრინველების ენა რომ იცოდა“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 159-160 და სხვა).

რაში ხშირად გვხვდება გერ-დედინაცვლის ციკლის ზღაპრებში. იგი ამოდის ორმოდან, რომელშიც გერის დედის დანატოვარი ძროხის ძვლებია ჩამარხული და მას სათანადო ტანისამოსიც ახლავს („დედინაცვალი და გერი“ (ხალხური სიბრძნე 1964: 109-114); „გერისა და დედინაცვლისა“ (იყო და არა ... 1977: 109-114), „კონკა“ და სხვა).

ზოგჯერ ცხენში ზღაპრის გმირის მტრის სულის სადგომია. ზღაპარში „უღუნო და ხელმწიფის შვილი“ (ხალხური სიბრძნე 1964: 141-151) უღუნომ მზეთუნახავს გაუმხილა: ჩემი ძალა სხვა ცხენებშია, რომლებიც ზღვაში ცხოვრობენ და ზღვის პირას ჭაში სვამენ წყალს. იმათ თუ ვინმე დაიმორჩილებს, მეც მომერევაო.

ჯადოსნურ ზღაპრებში გვხვდება ეპიზოდიც, რომელშიც ცხენების ასაკის გამოცნობაა აღწერილი (იხ. ზღაპარი „სიზმარა“ (იყო და არა ... 1977: 468-475)).

მკვდარი ცხენების გაცოცხლებაა აღწერილი ზღაპარში „ცურმოჭრილი ფურიოემი“ (იყო და არა ... 1977: 493-501), ცხენების ძვლები სახლის უკან ყრია, ახადე სკივრს, ამოიღე იქიდან სპილოს ძვლის ტარიანი მათრახი, გადაჲკარი სათითაოდ ძვლებს და გაცოცხლდებიანო, – უთხრა ბიჭს დევმა.

ცხენი ხშირად უკავშირდება ზღვას („და-ძმის ამბავი“, ხალხური სიტყვიერება 1956: 314); „გულუზარი“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1952: 3-19), „პირახმათი“ (იქვე: 48-54) და სხვა. „პირიხმათში“ დევმა უთხრა პირახმათს, ისეთი აღვირი მაქვს, ზღვაში ჩაჰეჭოფ და ზღვის რაშს შემეტედება პირში. მივიდა და ჩაყო ზღვაში, ამოვიდა ზღვის რაში, შეაჯდა ბიჭი და გაიყვანა. ეს რაში პირახმათს გაექცა, მაგრამ მას ერთმა კაცმა ასწავლა – ერთი ქვაა იქ, ეს ქვა გადააბრუნე და ეგე რამდენი აღვირია იქ, ამოიღე ერთი აღვირი, ზღვის რაში წამეტედება, ოღონდ კარგად შეინახეო.

ცხენი ზოგჯერ სამფეხაც არის. ზღაპარში „ხელმწიფის შვილი და ქოსა მეჩონგურე“ ზღაპრის გმირს მისმა მესამე სიძემ, გველეშაპმა, უთხრა, რომ ქოსა მეჩონგურეს სამფეხა ზღვის ცხენი ჰყავს და თუ შენ ოთხფეხა ზღვის ცხენს იმოვი, შეძლებ ქალი წაართვაო და ასწავლა, როგორ მოეპოვებინა ოთხფეხა ზღვის ცხენი – „წელიწადში ერთხელ ზღვიდან ერთი ცხენი გამოვარდება, დაიჭიხვინებს და მოიგებს კვიცს. თუ უეცრად არ წაართვი კვიცი და მგლებს ცხვრები არ გადაუყარე, მგლები მიდარაჯებულები არიან და მაშინვე შეჭამენ. კოჭლ მეჩონგურეს ვეღარ მოუსწრია და ერთი ფეხი მისი ცხენისთვის მგლებს მოუჭამიათ“ (იყო და არა ... 1977: 43-47). ცხენისთვის ფეხების მოჭმის მოტივი სხვა ზღაპრებშიც გვხვდება. ზღაპარში „ძმა და ორკბილა და“ (იყო და არა ... 1977: 50-53) ორკბილა დამ ძმის ცხენს ფეხები მოაჭამა და ბოლოს გადაყლაპა. ზღაპარში „ვაშლა“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 33-39) ვაშლას მტერს ციდამტკაველას ჰყავს სამფეხა რაში, რომელიც ზღვიდან გამოიყვანა – მგელს მოეჭამა მისთვის ერთი ფეხი. ვაშლამაც ზღვიდან გამოიყვანა რაში, როგორც ცოლმა ასწავლა.

ზოგჯერ ცხენები წყალს ვეღარ სვამენ იქ, სადაც ზღაპრის გმირი ქალის კვალია (იხ. „ხელმწიფის შვილი და ლერნამი“ (იყო და არა ... 1977: 97-102). რაშები ფრთხებიან, რადგან მზეთუნახავი, ზღვაში რომ ჩავარდა, ლოქოდ იქცა. ასევე, იხ. ზღაპარი „გერისა და დედინაცვლისა“ (იქვე: 109-114), ხელმწიფის ცხენები წყალს ვეღარ სვამენ იქ, სადაც ქალს ოქროს ქოში ჩაუვარდა.

ზღაპარში „ხელმწიფის შვილი და ხის ცხენი“ (იყო და არა ... 1977: 173-176) ცხენი ხისაა. ის ერთმა დურგალმა გააკეთა და ასწავლა ხელმწიფეს მისი ხმარება. აქ მკრთალად, მაგრამ მაინც უნდა იყოს ხის ცხენის მსგავსება ტროას ცხენთან.

რაში ზოგჯერ კოჭლი ცხენია, ზოგჯერ ჯაგლაგი, ზოგჯერ გამხდარი, ზოგჯერ შეუხედავი, მაგრამ ზღაპრის გმირი მას გუმანით გამოიცნობს და აირჩევს. ცხენი ღირსეული მხედრის ხელში ავლენს თავის ნამდვილ სახეს. (იხ. „შავ-დათუაშვილი“ (იყო და არა ... 1977: 201-207); „ხელმწიფის შვილი და მისი რაში“ (იქვე: 207-213 და სხვა).

სწორედ რაშს უკავშირდება ზღაპრებში პოპულარული მოტივი მანათობელი ბუმბულისა – აიღებ, ინანებ, არ აიღებ, მაშინაც ინანებო, – ეუბნება რაში ბიჭს. ბიჭი მაინც აიღებს ბუმბულს, რასაც მოსდევს ხელმწიფის დავალება – ბუმბულის მფლობელი ფრინველისა და ამ ფრინველის გამზრდელის მოყვანა. რაში ეხმარება ბიჭს და მას რჩევა-დარიგებებს აძლევს („ხელმწიფის შვილი და მისი რაში“ (იქვე: 207-213); „მეფის სასახლე“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1959, 237-243); „გრძნეული

ცხენი“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 39-44); „ზღაპარი საკვირველისა“ (იქვე: 145-153); „ხელმწიფისა და იმის ცხრა ვაჟის არაკი“ (იქვე: 153-158); „ხელმწიფის ზღაპარი“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1952: 321-324) და სხვა).

ზოგჯერ ადამიანი იქცევა ცხენად. ზღაპარში „ოსტატი და შეგირდი“ (ხალხური სიტყვიერება 1956:161-164) ვახრაკას შეგირდი ბიჭი იქცა ოორდა ცხენად და მამა-მისი დაარიგა, გამყიდე, ოღონდ თოკი არ გამაყოლო თანო. ერთმა სოვდაგარმა იყი-და. შუალამისას იქცა ეს ცხენი კაცად და ნავიდა შინ. ასევე, ხელმწიფის ქალი იქცა თეთრ ფაშატად მათრახის დარტყმით („სახყალი კაცისა“ (იქვე: 180-185). ზღაპარში „ღარიბი კაცი“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1952: 112-116) ქალს ვაშლს შეაჭმევს ზღაპრის გმირი და ის კურტნის ულაყად იქცევა, ბიჭი ამ ცხენით შემას ეზიდება, ბოლოს ისევ ვაშლის შეჭმით ქალად აქცევს და ცოლად ირთავს. ასეა ეს ზღაპარში „გველად ქცეული მზეთუნახავი“ (იქვე: 145-148) და ზღაპარში „ზღაპარი“ (იქვე: 210-212) კაცმა ერთ მგზავრ კაცს უთხრა, მე ცხენად ვიქცევი და შენ ძვირად დამაფასე, ლეკის ბიჭს მიმყიდე, რასაც აიღებ, მე და შენ გავიყოთო. ამ ცხენსაც დაკვლა დაუპირეს. ცხენს ლეკის ბიჭის მოახლეობ უთხრა, უნდა დაგკლანო. ცხენმა მაშინვე აიშვა, გავარდა გზაზე და იქცა კაცად.

ცხენი ზოგჯერ სიმდიდრის მომტანია. ზღაპარში „სკვინჩა“ (ხალხური სიტყვიერება 1956:190-197) სკვინჩამ მისცა ბერიკაცს ცხენი, რომელიც დაიჭიბვინებდა და ოქრო-ვერცხლი სცვიოდა. ერთხელაც დაიხვიხვინა და თექვსმეტვალიანი სახლი დადგა.

ამრიგად, ცხენის სახე ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ თავს იჩენს მთელი რიგი მოტივები – რაშის ძებნა და მოპოვება, რაშის მოთვინიერება, რაშთა ბრძოლა, რაში – გულთმისანი, რაში – მრჩეველ-დამრიგებელი, რაში – ქომაგი ცხოველი და სხვა. რაშის დახატვისას გამოყენებულია მზა ფორმულები, რომლებიც თავს იჩენს სხვადასხვა ზღაპარში. ცხენების ფერი არის თეთრი, შავი, წითელი, ლურჯი და ნაბლა, რომელთა ფუნქციებიც ცვალება-დია – ზოგჯერ თეთრი ცხენია ზღაპრის გმირის გადამრჩენელი, ზოგჯერ – შავი, წითელი კი – იშვიათად. ცხენი ზოგჯერ ადამიანის მშობელია, ზოგჯერ ადამიანა-დაც იქცევა, ზოგჯერ კი რთულ მეტამორფოზებს გადის და ისევ ცხენად იქცევა. ის ატარებს მოკვდავი და მკვდრეთით აღდგომადი ლვთაების თვისებებს. ზოგ ზღა-პარში სიმდიდრე მოაქვს თავისი პატრონისთვის. ცხენი ზღაპრებში, ძირითადად, რაშია, საგანგებოდ განვრთნილი, ადამიანთა ენის მცოდნე, გულთმისანი, ჯადოს-ნური უნარის მქონე. ის ფრინავს კიდეც და უკავშირდება სამყაროს სამივე სკნელს, ზღვასა და ხელეთს; არის პატრონის ერთგული. მისი გამოძახება ხდება ძუის ან ფაფრის ბეწვით, აღვირის დაჩხარუნებით და სხვა. ჯადოსნურ ზღაპრებში მზა ფორმულებით არის აღწერილი რაშის მოთვინიერება, რაშის ზღვის ცხენებთან ბრძოლა, რაშების მოპოვება მამის ანდერძისამებრ ზღაპრის გმირის მიერ მამის საფლავზე ლამით დარაჯობისას. როგორც წესი, რაშები მუდამ უმცროს ძმას ეკუთ-ვნის. ხშირ შემთხვევაში რაშები დევებს ჰყავთ, ზღაპრის გმირი დახოცავს დევებს და მოიპოვებს რაშებს. ზოგჯერ რაშს მეგობარი დევი აძლევს გმირს, ზოგჯერ კი –

სხვადასხვა ძალა (მაგალითად, კუდიანი დედაბერი). დაკლული რაშის დანაწევრებული სხეული იქცევა სასახლედ, ქალაქად, ზოგჯერ კი მევდრეთითაც აღდგება, როგორც ეს „თვალჩიტაში“ ან „შავჩიტა რაშში“ ხდება. რაში სასარგებლო რჩევებს აძლევს ზღაპრის გმირს, ჭკუას არიგებს მას და ბოროტ ძალებზე გამარჯვებაშიც ეხმარება. ის ზოგ ზღაპარში დევის სულის სამყოფელიც არის და ბოროტი ძალების დამსჯელიც – ცხენის კუდზე გამობმა ხშირად გვხვდება ზღაპრებში, როგორც ბოროტი პერსონაჟების დასჯის საშუალება.

ცხენი ღვთაებრივი პერსონაჟია ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში, ის ფლობს ღვთაებისათვის დამახასიათებელ უნარებს, ჰარმონიულ კავშირშია ადამიანებთან და გარე სამყაროსთან. ის მითოსური პერსონაჟია.

#### დამოცვებანი:

**იყო და არა იყო ... 1977:** იყო და არა იყო რა. თბილისი: „ნაკადული“, 1977.

**მეგრული ზღაპრები 1994:** მეგრული ზღაპრები და მითები. თბილისი: „მერანი“, 1994.

**პროპ 1946:** Пропп В.Я. Исторические корни волшебной сказки. Ленинград: 1946.

**უმიკაშვილი 1964:** უმიკაშვილი, პ. ხალხური სიტყვიერება. ტ. III. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964.

**ქართული ხალხური 1959:** ქართული ხალხური ზღაპრები. შ. ძიძიგურის რედაქციით. თბილისი: საბლიუგამი, 1959.

**ჩხეიძე 2002:** ჩხეიძე, ე. თვინიერებისა და სილამაზის სიმბოლო. „ომეგა“ №5(31), მაისი, 2002.

**ხალხური სიბრძნე 1963ა:** ხალხური სიბრძნე. ტ. I. თბილისი: „ნაკადული“, 1963.

**ხალხური სიბრძნე 1963ბ:** ხალხური სიბრძნე. ტ. II. თბილისი: „ნაკადული“, 1964.

**ხალხური სიტყვიერება 1963ა:** ხალხური სიტყვიერება. ტ. II. ქართული ხალხური ზღაპრები მ.ჩიქოვანის რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

**ხალხური სიტყვიერება 1963ბ:** ხალხური სიტყვიერება. V. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

**ხალხური სიტყვიერება 1956:** ხალხური სიტყვიერება. ტ. III. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956.

**Dalila Bedianidze**  
(Georgia, Tbilisi)

## **Image of the Horse in Georgian Fairy Tales**

### **Summary**

**Key words:** Georgian fairy tales, horse, symbolic of colors.

Dalila Bedianidze's work "Image of the Horse in Georgian Fairy Tales" considers the cases of appearing of the horses in Georgian fairy tales. Many Georgian fairy tales are about domestic, as well as wild animals. Among them the horse is mentioned most frequently. The horses in fairy tales are as simply horses, also the mythical ones (steed – rashi). Horses in Georgian fairy tales are characterized with wide variety of horse characters. Here is the whole set of motifs – seeking and getting of the steed, dressage of the horse, fight of steeds, steed – the foreteller, steed – the advisor, steed – the protector etc. To draw the image of the horse, the fairy tales use the ready formulas.

In Georgian fairy tales the horse is the divine character. It has the abilities characteristic for the divine creatures, it is in harmonic relations with the humans and external world, it is the mythical character. Sometimes the steed is a lame horse, sometimes – a jade, sometimes bare-boned, sometimes – ugly one, but the main character guesses and chooses it. In the hands of worthy rider the horse shows its real nature. Sometimes the human turns into the horse, sometimes the horse talks like a human. Color of the horses is white, black, red, blue, and brown, their functions are varying. Sometimes the main character is saved by the white horse, sometimes – by black, and rarely – by red. Sometimes the horse is parent of a human, sometimes it is subject to complicated metamorphoses. It has the qualities of the divine dying and raising from the dead, in some tales it brings reaches to its owner, it can be specially trained, speaking like a human, foreteller, with magic abilities. It can fly and it can communicate with all three depths, sea and land. It can be called with the hair from the horse's tail of mane, by jingling of the saddle-girth.

As a rule, the owners of steeds are younger brothers. In many cases the steeds are held by the devils (mythical dangerous giants), the hero kills the devils and gets the steeds. Parts of the killed steed body turns into the palaces, cities, sometimes it rises from dead. The steed gives god advices to the hero, supports him and helps to defeat the evil. In some tales it can contain the devil's soul, in some – it can punish the evil forces – tying to the horse's tail as the way of punishing of the evil characters is frequently used.